მოვედი მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რათა ისლამი მივიღო, და მან მიბრძანა, რომ განბანვა გამეკეთებინა წყლით და სიდრის ფოთლებით

ყაის ბინ 'აასიმ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: "მოვედი მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რათა ისლამი მივიღო, და მან მიბრძანა, რომ განბანვა გამეკეთებინა წყლით და სიდრის ფოთლებით".

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ და ალ-ნასაიმ]

ყაის ბინ 'აასიმი მოვიდა მოციქულან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რათა ისლამი მიეღო. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უბრძანა, რომ განბანვა გაეკეთებინა წყლით და სიდრის ხის ფოთლებით, რადგან მისი ფოთლები გამოიყენება სისუფთავისთვის და აქვს სასიამოვნო სურნელი.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/65085